ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2023584

ნომერი: AR1321683

თარიღი : 25.06.2015

გაცემის თარიღი : 23.07.2015

გაცნობის თარიღი : 24.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი N37ლ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა კიკალეიშვილი პ/ნ 01009014841
- ა. ყაზბეგის #12 ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 01 აპრილის #1815149 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 25 ივნისს #AR1321683 განცხადებით მომართეს ბექა კიკალეიშვილმა და ირაკლი ქაფიანიძემ. განმცხადებლებმა

მოითხოვეს ამავე სამსახურის 2015 წლის 01 აპრილის #1815149 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 01 აპრილის #1815149 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გამზირი ი. ჭავჭავაძე, ყოფილი სტუდქალაქის ტერიტორია, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.14.14.003.149) მრავალფუნქციური კომპლექსის (ა და ბ ბლოკები) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 01 აპრილიდან 2017 წლის 01 აპრილის ჩათვლით.

სამსახურის 2015 წლის 01 აპრილის #1815149 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს "იბერკომპანი ირაო" და შპს "არქი თაუერ". მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #B15142553; #B13068800; მომზადების თარიღი: 07/07/2015; 09/07/2013; ს/კ: #205216504; #404987305) თანახმად, შპს "იბერკომპანი ირაო"–ს დირექტორს წარმოადგენს ბექა კიკალეიშვილი, ხოლო, შპს "არქი თაუერ"–ის დირექტორს ირაკლი ქაფიანიძე.

განმცხადებლების განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვენ ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, საოფისე ფართობად 1241.8 კვ.მ–ის ნაცვლად 1241.2 კვ.მ–ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 3262.8 კვ.მ–ის ნაცვლად 3241.3 კვ.მ–ის, დამხმარე ფართობად 615.4 კვ.მ–ის ნაცვლად 636.9 კვ.მ–ის, ხოლო საერთო ფართობად 41220.7 კვ.მ–ის ნაცვლად 41220.1 კვ.მ–ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 01 აპრილის #1815149 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 01 აპრილის #1815149 ბრძანებაში, კერძოდ: საოფისე ფართობად დაფიქსირდეს – 1241.2 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად – 3241.3 კვ.მ, დამხმარე ფართობად – 636.9 კვ.მ, საერთო ფართობად – 41220.1 კვ.მ;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 01 აპრილის #1815149 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.